საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 228-02
06/02/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, 2017 წლის 1 თებერვლის N35/436 მინდობილობის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 ნოემბრის №24 და 2017 წლის 31 იანვრის №1 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2017 წლის 6 თებერვალს დამტკიცდეს **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის** 2 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი, კერძოდ:

ა) ენათმეცნიერების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ირინა ლობჟანიძე;**

ბ) ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ლუკა ნახუცრიშვილი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა **ირინა ლობჟანიძისთვის და ლუკა ნახუცრიშვილისთვის** და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

ქეთევან ლაკირბაია

რექტორის მინდობილი პირი